საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 796 2019 წლის 9 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ნენსკრა ჰიდროსათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ (ს/ნ: 405112220) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) წლის ვადით, აღნაგობის უფლებით გადასცეს ამ განკარგულების №1 დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების №2 დანართში მითითებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაეცეს სს „ნენსკრა ჰიდროს“ (ს/ნ: 405112220).

3. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული უძრავი ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 1 (ერთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „საპარტნიორო ფონდსა“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ნენსკრა ჰესის“ აშენება და ექსპლუატაციაში მიღება.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი N1

N	საკადასტრო კოდი	ადგილმდებარეობა	ფართი	დანიშნულება
1.	42.14.46.001	მუნიციპალიტეტი მესტია, სოფელი ნაკრა	13483 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო
2.	42.14.45.001	მუნიციპალიტეტი მესტია, სოფელი ნაკრა	68022 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო
3.	42.14.46.004	მუნიციპალიტეტი მესტია, სოფელი ნაკრა	8406 კვ.მ	არასასოფლო-სამეურნეო
4.	42.14.45.454	მუნიციპალიტეტი მესტია, სოფელი ნაკრა	131920 კვ.მ	არასასოფლო-სამეურნეო

221831 კც.მ.

დანართი N2

N	საკადასტრო კოდი	ადგილმდებარეობა	ფართი	დანიშნულება
1.	42.15.39.038	მუნიციპალიტეტი მესტია, სოფელი ხაიში, მიმდებარედ	97 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო
2.	42.15.39.056	მუნიციპალიტეტი მესტია, სოფელი ჭუბერი	213 კვ.მ.	არასასოფლო-სამეურნეო

310 კვ.მ.